ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება №195/01-01, 03.11.2016წ.
დანართი 1

ბრემენის უნივერსიტეტის მიერ გამოყოფილი სადოქტორო სტიპენდიების მოსაპოვებლად შესარჩევი კონკურსის ჩატარებისა და კანდიდატთა შეჩევის წესი

1. კონკურსის მიზანი

კონკურსის მიზანია ბრემენის უნივერსიტეტის მიერ 20.11.2016-20.12.2016 სასწავლო წლისათვის გამოყოფილი სადოქტორო სტიპენდიების მოსაპოვებლად, კონკურსში მონაწილე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტთა შორის სტიპენდიატების შერჩევა.

2. კანდიდატი

კონკურსზე დაიშვებიან თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის სტუდენტები.

3. სტიპენდიატის შერჩევა

სტიპენდიატის შერჩევა ხორციელდება შემდეგ კრიტერიუმებზე დაყრდნობით:

1. მოტივაციის წერილი
2. ზეპირი პრეზენტაცია (ინგლისურ ენაზე)
3. აკადემიური მოსწრების საერთო საშუალო ქულა (GPA).

4. კომისიის შეფასება

ა) კომისია ახორციელებს კანდიდატის მოტივაციის წერილისა და ზეპირი პრეზენტაციის შეფასებას.

ბ) კანდიდატის მოტივაციის წერილისა და ზეპირი პრეზენტაციის შეფასება ხორციელდება არაუმეტეს 10 ქულით შემდეგი თანაფარდობით:

ბრწყინვალე -	10 ქულა
ძალიან კარგი -	9 ქულა
კარგი -	8 ქულა
დამაკმაყოფილებელი -	7 ქულა
საკმარისი -	6 ქულა
არადამაკმაყოფილებელი -	5 ქულა და ნაკლები

გ) თუ კანდიდატის მოტივაციის წერილი ან ზეპირი პრეზენტაცია შეფასებულ იქნება არადამაკმაყოფილებლად (5 ქულა და ნაკლები), მისი კანდიდატურა იხსნება შესარჩევი კონკურსიდან.

5. გამარჯვებულის გამოვლენა

სტიპენდიატის გამოვლენა ხდება შესარჩევი კომისიის შეფასების საფუძველზე.